ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს სხდომის

ქ. ცაგერი

ოქმი#1

სხდომა დაიწყო 12:00

11.01.2022

სხდომას ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე-მარიკა კოპალიანი.

სხდომას ესწრებოდნენ : მ. ყურაშვილი, თ. ჭაბუკიანი, ო. ჩაკვეტაძე, კ. მუშკუდიანი, მ. ხაბულიანი, თ. ნემსიწვერიძე, დ. ჩაკვეტაძე, შ. დვალი.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ნ. ტვილდიანი, მ. სვანიძე. ზ. ყურაშვილი, ახვლედიანი, ნ. ბურჯალიანი, ი. ყურაშვილი, ბ. თვარაძე.

თავმჯდომარემ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წაუკითხა დღის წესრიგი გააცნო:

დღის წესრიგი

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-23 სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

საბჭოს მდივანმა თინათინ ნემსიწვერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2022-23 სამოქმედო გეგმის შესახებ და აღნიშნა, რომ რადგან საბჭოს შეხვედრები კვარტალში ერთხელ იმართება, საბჭოს სხდომაზე შეიკრიბება სამუშაო ჯგუფი , რომელიც მოამზადებს საკითხებს უახლოეს სხდომაზე წარმოსადგენად.

გენდერული საბჭოს მიერ თვეში ერთხელ ერთი აქტივობა უნდა იქნას განხორციელებული ,უმთავრეს გამოწვევად რჩება მოსახლეობის ინფორმირებულობა გენდერული საკითხების შესახებ, რაშიც ხელი შეგვიშალა პანდემიამ. ოჯახური ძალადობის სტატისტიკის და დინამიკის შესახებ პერიოდულად უნდა გამოვითხოვოთ ინფორმაცია სამართალდამცავი უწყებიდან, სკოლებთან უნდა ვითანამშრომლოთ ისე, რომ ეფექტური ხასიათი მიიღოს მოსწავლე-ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მიერ განსახორციელებელ აქტივობებზე ისაუბრა და იმ მნიშვნელოვან გამოწვევებზე გააკეთა აქცენტი, რომელიც გენდერული საბჭოს მუშაობის პროცესში წამყვან როლს ასრულებს, მან ხაზი გაუსვა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს: მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის გამოქვეყნების ფორმების და მეთოდების შემუშავებას, გენდერული მგრძნობელობის და ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მუნიციპალიტეტის საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან.

აზრი გამოთქვეს; თ. ჭაბუკიანმა, კ. მუშკუდიანმა.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მარიკა კოპალიანმა **საბ**ჭოს წევრ
წარმატებული საქმიანობა უსურვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

მდივანი:

მ. კოპალიანი

თ. ნემსიწვერიძე